საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №63

2026 წ. "30" 03

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". ამასთან, აკრედიტაციის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭო აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად, ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამგვარი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზები არ/ვერ გამოსწორდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 18 ოქტომბერს სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1413733 (ცენტრში რეგისტრაციის №1413733) სააკრედიტაციო განაცხადი „მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 12 ნოემბრის №1096 ბრძანების საფუძველზე, სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 იანვრის №39164 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 05 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ ტექნიკური უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 11 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

თავმჯდომარე

მდივანი

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 30 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად რვა მომხრე და ერთი წინააღმდეგ,

თავმჯდომარე

მდივანი

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2019 წლის 18 ოქტომბრის №1413733 (ცენტრში რეგისტრაციის №1413733) სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, ორ წელიწადში მონიტორინგის განხორციელებით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მეცხოველეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 30 მარტის №15 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მეცხოველეობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, პროგრამაში ცხრილის სახით განთავსდეს პროგრამის თითოელი სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები შესაბამისი აქტივობებით და მათი სამიზნე ნიშნულებთან დადარება;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონდებლობით, მეცხოველეობის მიმართულებით სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის შესაბამისი წინა საფეხურის საბაზისო განათლება არ არის აუცილებელი და შესაბამისად არ არის სავალდებულო მოთხოვნა. მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდანგამომდინარე მნიშვნელოვანია და სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევის კუთხით გამართლებული იქნება უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ამ შემთხვევაში სტუ-მ მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობად, შიდასაუნივერსიტეტო მოთხოვნად განსაზღვროს წინარე განათლება, ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება და სხვა. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს რელევანტური საგანმანათლებლო საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების ან/და მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაძღვრა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ცვლილების შემთხვევაში, პროცედურები, სამართლიანობისა და პიროვნების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი ვალდებულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შეიმუშვოს პროგრამაზე დაშვების ან/და მიღების დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაზე მიღების ან/და დაშვების წინაპირობები და პროცედურები.

გ) პროგრამის შედგენას წინ უნდა უძღვოდეს კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებული იქნება ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური ან/და მომიჯნავე პროგრამების გამოცდილება და მიღწევები;

დ) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს არჩევით სასწავლო კურსების ბლოკს, როგორც სპეციალობის, ასევე საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან.

ე) სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით გადაიხედოს სასწავლო კურსებს შორის კრედიტების განაწილების პრინციპი;

ვ) სასწავლო კურსების ნაწილი მისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა შეიცავდეს ლაბორატორიული მეცადინეობის კომპონენტს, მითუმეტეს, რომ პროგრამაში გაწერილი სასწავლო კურსები და პრაქტიკა - 2 ითვალისწინებს ცხოველური სურსათის უსაფრთხოების საკითხებს, რა დროსაც ლაბორატორიული კვლევები მნიშვნელოვანია.

თავმჯდომარე

მდივანი

ზ) განახლდეს საწარმოო პრაქტიკის (მეცხოველეობა 1 და 2) სილაბუსები, კერძოდ: პრაქტიკა „მეცხოველეობა 1-ში“ განისაზღვროს წინაპირობა. საწარმოო პრაქტიკის შეფასების სისტემა დაექვემდებაროს კომისიურად შეფასებას, შესაბამისი აქტივობების გაწერით და შემუშავდეს პრაქტიკის ჩატარების ინსტრუქცია ან/და პროგრამა.

თ) საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსში გამოყენებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების ქულების ერთი და იგივე დონე (მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასება - 30 ქულა; შუასემესტრული გამოცდა- 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა). ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს გადაიხედოს მიმდინარე აქტივობების, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულების წილობრივი გადანაწილება. აღნიშნული რეკომენდაცია ეფუძნება პრინციპს - ყველა სასწავლო კურსი ერთნაირად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ი) აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგრანტო პროექტებში ჩართულობის მეტი შესაძლებლობების მიზნით რეკომენდებულია სტუ-მ შეიმუშავოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრმები მეცხოველეობის მიმართულებით.

კ) მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მისი გაუმჯობესების გზების განხილვის მიზნით, ხარისხის გარე შეფასების უზრუნველყოფის პროცესი უნდა მოიცავდეს გარე ექსპერტების შეფასებას და უცხოეთის ან/და ქვეყნის შიდა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლება-სწავლის გამოცდილების მონაცემებს, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამას.ასევე, აუცილებელია გაითვალისწინონ წინა აკრედიტაციის პერიოდში (2015 წელს) მიღებული რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილის გაზრდას.

5. მონიტორინგი **განხორციელდეს აკრედიტაციის მინიჭებიდან ორ წელიწადში-2022 წლის 30 მარტს.**

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 30 მარტს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე — ნიკა თიკანაშვილი

საბჭოს მდივანი — თამარ ტუფინაშვილი

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მეცხოველეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 18 მარტი, №41
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	მეცხოველეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცხოველეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0103
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, 0192, თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ. N17, თბილისი, მე-11 კორპუსი.
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 30 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	მონიტორინგი განხორციელდეს 2 წელიწადში (2022 წლის 30 მარტი)
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 30 მარტი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი